GRASS REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
წერილის რეგისტრაციის № 182
თარიღი: 11 05 2015 წ.

GRASS FACTCHECK

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

ქალბატონო/ბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37–ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე–40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

- რამდენი დევნილია დღეის მონაცემით საქართველოში?(ადამიანთა რაოდენობა, ოჯახების რაოდენობა)
- საქართველოში არსებული დევნილებიდან დღეის მონაცემით საცხოვრებელი ფართით რამდენი ადამიანია დაკმაყოფილებული? რამდენი ოჯახი?
- 2012 წლის 1 ოქტომბრამდე მათგან რამდენი(ადამიანი და ოჯახი) იყო დაკმაყოფილებული საცხოვრებელი ფართით და რამდენი დაკმაყოფილდა 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ?
- რამდენ დევნილს დაუკანონდა საცხოვრებელი ფართი(2012 წლის 1 ოქტომბრამდე და 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ)
- „ სახლი სოფლად“ პროექტის ფარგლებში რამდენ დევნილს გადაეცა სახლი?
- 2009 წლის #403 განკარგულების დ პუნქტი(რომლის მიხედვით ლტოლვილებისთვის თბილისში ბინები არ აშენდებოდა) როდის შეიცვალა, თუ შესაძლებელია, ამ განკარგულების (შეცვლამდე და შეცვლის მერე)ასლი
- თბილისში სახელმწიფოსგან ოფიციალურად თუ აქვთ დევნილებს მიღებული საცხოვრებელი ფართი და თუ, კი რამდენს?
- სამინისტროს ბიუჯეტის რაოდენობა 2003-2012 წლებში და 2012-2015 წლებში(თითოეული წლის)
- დევნილთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველსაყოფად არსებული თანხების წარმომავლობა(ბიუჯეტი,გრანტი, დონორი და ა.შ)

პატივისცემით,

პაატა გაფრინდაშვილი

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) დირექტორის მოადგილე

მისამართი:

თბილისი, მიჩკევიჩის ქუჩა # 27 ბინა #1

საკონტაქტო პირი:

ვერიკო სუხიაშვილი 599786561

Nanovero71@gmail.com